

ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის პრაქტიკუმების თემატიური გეგმა

მედიცინის ფაკულტეტი VI კურსი XI – XII სემესტრი

1) ახალშობილთა და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ანამნეზის შეგროვება, ფსიქონევროლოგიური სტატუსის შეფასება და სამედიცინო დოკუმენტაციის (ისტორიის) შევსება. ნერვული სისტემის დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები. ბავშვის ნერვული სისტემის გამოკვლევის მეთოდთა (თავის ტვინის ნერვები, რეფლექტორულ-მამოძრავებელი სფერო, ფსიქო-მეტყველებითი შესაძლებლობების შეფასება).

გარკვეული ჯგუფის (3-4) სტუდენტებისთვის საპრეზენტაციო მასალის დავალება

2) წინა პროგრამული მეცადინეობის მასალის გამოკითხვა, შეფასება. დავალებული საპრეზენტაციო მასალის წარმოდგენა სტუდენტების მიერ ჯგუფის წინაშე წინა მასალის ფარგლებში.

- ახალშობილის ნერვული სისტემის დაავადებების ძირითადი სიმპტომები: დიზემბრიოგენული სტიგმები; კუნთთა ჰიპოტონია-„დუნე ბავშვი“-ს სინდრომი; ინტრაკრანიალური ჰემორაჯი; ჰიდროცეფალია; მიკროცეფალია; კრანოსტენოზი.

_ახალშობილის და ჩვილი ბავშვის ნერვული სისტემის გამოკვლევის მეთოდები: (ნეიროსონოსკოპია, თავისა და ზურგის ტვინის კომპიუტერული და მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია; ეეგ, გამოწვეული პოტენციალები, ენმგ); ლუმბალური პუნქცია, ლიქვორის გამოკვლევა; გენეტიკური კვლევა; ნეიროოფთალმოლოგიური და ოტონევროლოგიური კვლევა.

- დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად განყოფილების შემოვლაზე დასწრება

-პაციენტების გასინჯვის უნარ-ჩვევების გამომუშავება სტუდენტების მიერ პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ.

გარკვეული ჯგუფის (3-4) სტუდენტებისთვის საპრეზენტაციო მასალის დავალება

3) სტუდენტების შეფასება ტესტებით და ზეპირი გამოკითხვით.

-დავალებული საპრეზენტაციო მასალის წარმოდგენა სტუდენტების მიერ ჯგუფის წინაშე წინა მასალის ფარგლებში.

_ნეონატალური ენცეფალოპათიები.

ჰიპოქსიურ-იშემიური ენცეფალოპათია. ეტიოლოგია, პათოგენეზი, თანამედროვე კლასიფიკაციები, კლინიკური გამოვლინებანი, პროგნოზი და თერაპიის მართვა. მეტაბოლური ენცეფალოპათიები. ბილირუბინული ენცეფალოპათიები.

ინტრაკრანიალური ჰემორაგიები, კლასიფიკაცია, თანამედროვე მართვა.

კლინიკური განხილვა პაციენტების დემონსტრირებით, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სინდრომების დიფერენციალური დიაგნოზის და პარაკლინიკური კვლევის მეთოდების შერჩევაში.

- პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტის მიერ პაციენტის დამოუკიდებელი გასინჯვა, კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება

გარკვეული ჯგუფის (3-4) სტუდენტებისთვის საპრეზენტაციო მასალის დავალება

4) წინა პროგრამული მეცადინეობის მასალის გამოკითხვა.,შეფასება. დავალებული საპრეზენტაციო მასალის წარმოდგენა სტუდენტების მიერ ჯგუფის წინაშე წინა მასალის ფარგლებში.

ცერებრული დამბლა. ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია. კლინიკური ფორმები, თანამედროვე პრინციპებზე აგებული თერაპიის მართვა.

კლინიკური განხილვა პაციენტების დემონსტრირებით, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა სინდრომების დიფერენციალური დიაგნოზის და პარაკლინიკური კვლევის მეთოდების შერჩევაში.

- პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტის მიერ პაციენტის დამოუკიდებელი გასინჯვა, კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება

გარკვეული ჯგუფის (3-4) სტუდენტებისთვის საპრეზენტაციო მასალის დავალება

5) წინა პროგრამული მეცადინეობის მასალის გამოკითხვა.,შეფასება. დავალებული საპრეზენტაციო მასალის წარმოდგენა სტუდენტების მიერ ჯგუფის წინაშე წინა მასალის ფარგლებში.

ახალშობილთა თავის ტვინის დაზიანება TORH ინფექციების დროს.

ბავშვთა ასაკის ნეიროინფექციები: მენინგიტები, ენცეფალიტები, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი, მენინგიალური სიმპტომოკომპლექსი.

ბავშვთა ასაკის პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები: მონონეიროპათია, პლექსიპათია, რადიკულოპათიები, პოლირადიკულონეიროპათია.

პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტის მიერ პაციენტის დამოუკიდებელი გასინჯვა, კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება.

გარკვეული ჯგუფის (3-4) სტუდენტებისთვის საპრეზენტაციო მასალის დავალება.

6) წინა პროგრამული მეცადინეობის მასალის გამოკითხვა, შეფასება. დავალებული საპრეზენტაციო მასალის წარმოდგენა სტუდენტების მიერ ჯგუფის წინაშე წინა მასალის ფარგლებში.

ბავშვთა ასაკის ეპილეფსიები და ეპილეფსიური სინდრომები, ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური გამოვლინებები და თავისებურებანი ბავშვთა ასაკში.

- ნეონატალური გულყრების მართვა. ეპილეფსიური სტატუსის მართვა.

- ამბულატორიულ და სტაციონარულ ავადმყოფთა დემონსტრირება და კლინიკური განხილვა. ევგ კვლევის დემონსტრირება და შეფასება.

7) პაციენტთა დემონსტრირება ეპილეფსიის სხვადასხვა ფორმით, ევგ-ს გარჩევით. სტუდენტთა მონაწილეობა ანტიკონვულსიური თერაპიის მართვაში.

ეპილეფსიის მკურნალობის თანამედროვე პრინციპები. რეფრაქტერული ეპილეფსიის მართვა. მკურნალობის მეთოდები (მედიკამენტური, არამედიკამენტური, ნეიროქირურგიული, ნეიროსტიმულაციური). ანტიეპილეფსიური პრეპარატების მახასიათებლები.

თანდაყოლილი ნერვ-კუნთოვანი დაავადებების გამოვლინება ჩვილობის ასაკში. ვერდნიგ-ჰოფმანის სპინალური ამიოტროფიის I და II ტიპი. ოპენჰეიმის და ტომსენის თანდაყოლილი მიოტონია.

ამბულატორიულ და სტაციონარულ ავადმყოფთა დემონსტრირება და კლინიკური განხილვა.

8) ნივთიერებათა ცვლის მოშლის თანდაყოლილი დაავადებები: ამინომჟავების (ფენილკეტონურია, ჰისტიდინემია); ლიპიდების (ამავროზული იდიოტია, ნიმან-პიკის, გოშეს დაავადება, ლეიკოდისტროფია); მუკოლიპიდოზები (ნეიროვისცერალური ლიპიდოზი, დერის დაავადება, ფუკოზიდოზი, მანიზიდოზი); ნახშირწყლების (გალაქტოზემია, გლიკოგენეზი); ფაკომატოზები (რეკლინგაუზენის ნეიროფიბრომატოზი, ბურნევილის ტუბეროზული სკლეროზი, შტურგე-ვებერის ენცეფალოტრიგემინალური ანგიომატოზი).